იმერეთი

№ 70 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 70

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 ან. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მოწერა შეიძლება გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: რეკლამებისა სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვადრატის გარშემო მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

ოთხშაბათი 4 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზეთისა

„იმერეთი“

თვალაისის ქუჩა, ფარსადან თამაშაძის ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელასი.

ტელეფონი № 4.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი ფერთ	3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахведзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქალაქის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

სპეციალური წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავთანო დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკმაზე სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავთანო პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: მკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წყვებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **სააკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მისდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

ბ. ს. მარქოზია—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1—2
გ. ს. ნადარაძე.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ს. რეღეციანი—დისტანციური, ქალთა, სამეანო ყოველ ღღე	11—2
მ. დ. ბეთხოზი.—კანის, ათა'შინგი, ვენერ.	12—2
გ. ს. ჭოდოშვილი—სამეან., ქალთა და შინაგ.	12½—2½

ს ა ღ ა მ ო თ.

ა. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
ი. ს. ჭოდოშვილი—სამეანო, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საავ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ხველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 ესხმა კონსულტაციუთათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის, რისეა 10 შაური, ამეროცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგება. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ს. ჭოდოშვილი.

ქალაქის თეატრი.

შაბათს 7 ივნისს, გაიმართება

ი. ევდოშვილის მონაწილეობით

საღამო

ოთხ განყოფილებათ:

I.

კ. აბაშიძე წაიკითხავს ლექციას.

II.

სალიტერატურო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ: დ. კლდიაშვილი, ია ეკალაძე, ოთმაშვილი, ცვარ-ნამი, გუცა. ი. ევდოშვილი.

III.

დრამატიული განყოფილება.

„არივ დარია“ ვოდ. 1 მოქმედ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ქაჯაია, პაპავა, ეპიტაშვილი, ბ-ნნი: ნემო, ა. მურუსიძე, ა. სარელი და ჩხივაძე.

IIII.

მუსიკალური განყოფილება

ქნი დავითაშვილი, ბ-ნნი საადა და გ ნ ი ტ ლ ი.

ქალაქის თეატრში

5 ივნისს

ვ. ა. გურკო

წაიკითხავს ლექციას.

საქართველოს კულტურა

და

მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთისა.

„კოოპერაციის“ რედაქციისაგან:

მომხმარებელ, საკრედიტო, შენახ.-გამს., სამეურნეო და სხვა კოოპერატივების წევრებმა და კოოპერაციის საკითხებით დაინტერესებულმა პირებმა დაუყონებლივ უნდა გამოიწერონ ახალი პიესა:

„სოფლის მასწავლებელი“

(სცენები კოოპერაციის განვითარებიდან, ოთხ მოქმედებათ; დამატებათ: „თეატრი და კოოპერაცია“).

ყოველმა ამხანაგობამ ხელი უნდა შეუწყოს თავის წევრებს შორის ამ საპრიპაგანდო გამოცემის გავრცელებას: რაც უფრო მეტ გავრცელებას მიიღებს ეს წიგნი, მით უფრო მეტ შეგნება-გათვითცნობიერებას გამოიწვევს ის ხალხში. **ეს წაგნა უკვე დაბეჭდილია და ღირს ერთ 35 კ.** მაგრამ:

20 ივნისამდე იმართება ხელის მოწერა და ხელის მოწერნი მიიღებენ მას ადგილ მხილველ ერთ ბაზათ.

მოვუწოდებთ კოოპერატივებს ჩქარმძღვანელებს, ფურნალ-გაზეთების აგენტებს, სოფლის მასწავლებლებს და ყველებს დაიკვეთონ საკრედიტო წიგნაკები ხელის მოწერის მისაღებათ. ეს იქნება საუკეთესო ფორმა დამთმარებისა საკოოპერაციო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაში. ამ გამოცემაში დახარჯული ფულის გამობრუნება რედაქციას საშუალებას მისცემს გააფართოვოს გამომცემლობა და ახლო მომავალში გამოსცეს მთელი რიგი სახრპაგანდო და სახელმძღვანელო წიგნებისა, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენში საკოოპერაციო მოძრაობის განვითარებას. გიმეორებთ, ხელის მოწერა მხოლოდ 20 ივნისამდე გრძელდება და ამიტომ თანხაგრძნობანი დუყოვნებლივ უნდა შეიდგეს საქმეს. წიგნები გაეგზავნება აგენტებს ფასდადებით (გაზეთსა რედაქციის ხარჯზე, თუ არა ნაკლებ 20 ცალისა იქნება გამოწერილი). „კოოპერაციის“ რედაქციიდანვე. შესაძლოა გამოწერა (20 პროც. დაკლებით, თუ არა ნაკლებ 50 ცალისა იქნება დაკვეთილი) მეორე სახრპაგანდო წიგნაკისა: „ერთობის ძალა“ (მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ აიშენა პაწია საზოგადოებამ 35 ათას მანეთად ღირებული წისქვილი)—ფ. 5 კ., მომხმარებელი საზოგადოების დასაარსებლათ საჭირო წესდების პროექტი, დარიგება, პლაკატი და სხვა იგზავნება ფასდადებით 1 მ. 35 კ.

მისამართი წერილებისა და ფულისთვის: Кутаисъ, редакція газ. „Кооперація“, почтовый ящ. № 68.

ექიმის ივ. პოკერაიას

საავათმყოფო

გადაიდგა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

ვ. ა. ლევანდოვსკის პროგიმნაზია

უმაღლესი ბრძანებით 25 მაისს 1914 წ. გადაკეთდა სრულ 8 კლასიან

გიმნაზიათ

სახაზინო სავაჭრო გიმნაზიების უფლებებით და ყველა კლასებში ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლების შემოღებით. ამბის გაგება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

თვალაისი, გუნიას ქუჩა, სახლი, № 10.

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ექიმი ა. მ. ასათიანი დებულობს ავათმყოფებს. ქალს, გვერდზე (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმი ვ. ი. კაკაცელაშვილი. საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათა'შინგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარავანსლისა და პუშკინის უჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის ქირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს ქანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავთმყოფოშია.

მისამართი: გეგრანის ქუჩა, ზოდიაკის გვერდით, ფარსადანის სახლში. თ.

ჩვენი პრესა.

ქართული პრესის დასახასიათებლად „თემი“ სწერს:

„ყოველი თავის თავის პატივისმცემელი გამოცემა მუდამ სცდილობს გაიჩიროს მკითხველი—მეგობარი. არა გვგონია ჩვენს გამოცემებს ეს მკითხველი—მეგობარი მრავლად ჰყავდეს, რადგანაც ყოველი ზომა მიღებული მის დასაფიქრებლად. შეიძლება მკითხველმა აიღოს ხელში გაზეთი, გადიკითხოს მხოლოდ იმითომ, რომ იქ ვისმე ლანძღავა, ან რომელიმე პამფლეტ-პასკვილია დაბეჭდილი, მაგრამ ამისთანა მკითხველი წარმავალია, დროებითია. ის მხოლოდ შემთხვევით კითხულობს გაზეთს: სერიოზულად დაინტერესებული არ არის. ამიტომ დარბაისლური პრესა არასოდეს არ ჰპეჭდავს პამფლეტებს. ეს რომ ექნესა, ის თავისთავს დაიმცირებდა ნამდვილ მკითხველ—მეგობრის თვალში“.

იმავ გაზეთ „თემში“ საინტერესო დოკუმენტებია გამოქვეყნებული, რომელიც საქართველოში ბატონყმობის გადავარდნას შეეხება. დოკუმენტი ეკუთვნის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევნსაცავს და ინახება ხელნაწერად 2443 ნუმრით, რომელსაც შემეგი სათაური აქვს: „შეკრება თვდაურათას ხალის ოხს: ოხშოდა სჭართველოს შეპატიჯოს მაურ წარმოშემდეგის ბატონ-უმოპრს, შედგენილა ჰწრადს 1863 წ.“

მაგრამ უფრო საინტერესოა თავ. ზაალ ნონრეველის ძე ჰკეჭავის წერილი, რომელიც თანამედროვე იყო გლეხთა განთავისუფლებისა. გაზეთ „თემს“ შემდეგის წერილით მიმართავის თავ. ზ. ჰაეჭავაძისთვის:

„როგორც ავტორს გლეხთა განთავისუფლების ერთ-ერთ პროექტისას, სახელდობრ 1863 წლის 27 თიბათვისათქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ, თუ

ვინ იყო და რა ერქვა იმ თავად ჯაჯავაძეს, რომელმაც 4 მაისს 1864 წელს დასწერა ცნობილი კრიტიკული წერილი მთავრობის ანუ კომიტეტის პროექტზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ, და რომელსაც იხსენებს სვ. ავალიანი თავის შრომის 1 ტომის 348 გვერდზე (Крестьянскій вопросъ въ Закавказьѣ). თუ იცით, გთხოვთ კეთილ ინებოთ და ამ წერილზედვე აღნიშნოთ". წერილის სპასსუხოდ თავადი ზაალ ჯავჯავაძე სწერს:

„ვასრულებ სიამოვნებით თქვენი რედაქციის თხოვნას. ის თავ. ჯავჯავაძე, რომელსაც იხსენიებს სვ. ავალიანი თავის შრომის 348 გვერდზე, გახლავთ ჩვენი ცნობილი მწერალი თავ. ილია გრიგოლის-ძე ჯაჭავაძე. მე და ილიას გარდა, არავის სხვა ჯავჯავაძეს არ წარუდგენია მაშინ პროექტი, ან კრიტიკული წერილი".

—

ტურნალი „კლდე" წერს:

„უკანასკნელ წლებში „სახალხო გაზეთი", თითქო ჩვენი საზოგადოების „ოფიციოზად" იქცა და ოპოზიციონერობის მაგიერ, ყველა საზოგადო დაწესებულებაში იცავს მართველობის პოზიციებს. ეს ფრიად სიმპტომატიურია, რადგან ამჟამად ყველა დაწესებულებაში თფილი და საპატო ადგილებიც მათ „თანამგრძნობთა" ხელშია და თავისი თავის კრიტიკა პრაკტიკულ, ტაქტიკურ და ანგარებითს აზრსაც მოკლებული იქნებოდა... რა ეყოთ, რომ ამით მისი იდეური ოპოზიციონერობა იჩქმალება და ყველა საქმის სიღუხჭირეს იგი ხელს აფარებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. შარშან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ყოველ კრიტიკის გარეშე იყო, როგორც მთელი მისი ნამოქმედარი იმდენად აბნეული წარმოგვიდგა, იმდენად სულ უბრალო შეკითხვაზედაც არ იძლევოდა პასუხს, რომ თვით გამგეობის წევრებს ერთმანეთის არა ესმოდათ. უკანასკნელმა გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ თავჯდომარემ განაცხადა: „ამისთანა გამგეობასთან მე მუშაობა არ შემიძლიანო" და „სახალხო გაზეთმა", როგორც გვწინათ, რა აღნიშნა კრების შესახებ: გამგეობა დიდი მოხსენებებით და საქმის ცოდნით მიდის ხოლმე კრებებზე და კრების წყალ-წყალა ოპონენტები კი საქმეს აფუქცხენო. იმიტომ გახდენ გამგენი მცოდნენი და ოპოზიცია წყალ წყალა, რომ დღეს სახალხოებები შეადგენენ გამგეობას და ოპოზიციას არა-სახალხოებრივნი.

ასევე იყო, რასაკვირველია, სათავადაზნაურო გიმნაზიის კრებებზედაც. გარეშე მდგომს, ობიექტიურს ადამიანს თვალში შეეხვრებოდა ის უხუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც ჩაცვივდენ სკოლის ხელმძღვანელნი, რომელთაც სულ უბრალო საკითხებიც კი ვერ გამოერკვიათ და როგორც უფალს შეჰღალდებდენ თავად-აზნაურობას: ის მოგვცემს, ის გვშველის და თვითონ კი ხელი არ გაუნძრევიათ საქმისათვის... ამაზე „სახალხომ" (?) დაბეჭდა ასეთი საზოგადო აზრი, რომელიც ჩუნებრ რომ იტყვიან: ни къ чему не обязываетъ: კრიტიკა კი არ არის საჭირო, არამედ სიყვარულით დახმარება; და მოსიყვარულე დახმარება იმაში გამოიხატა, რომ იგივე „თავისიანების" პოლიტიკა გაამყარეს, რის შედეგები წრფელსაც დაენახეთ.

წრეულს „სახალხო გაზეთი" იმეორებს თავის ტრადიციურ სტატიას: „ჭარ თული გიმნაზია საჭიროებს მოსიყვარულე ადამიანის მეგობრულ დარბაისლურ დახმარებას და ჩვენც ღრმათა გვწამს, რომ ქართველი საზოგადოება გამოსცემენის ასეთს ადამიანებს", კიდევ სიყვარული და დახმარება იმ გამგეთ, რომელთაც სიკვდილის პირს მიეყვანეს ჩვენი საერთო alma mater... ეს სიტყვით, და საქმით კი... საზოგადოებამ (?) ეძებოს მოსიყვარულე ადამიანები და მოსიყვარულე ჯორჯაძეგოგოლაშვილებმა ზედონ უღელი მოსიყვარულე მდივნებთან ერთად, რადგან შინაურობაში, სიყვარული სკოლასადმი, შეიძლება შევცვალოთ ხოლმე სიყვარულით „თავისიანებისადმი".

გადავედით ახლა ბანკზე. წრევანდელმა კრებებმა დაამტკიცეს არამც-თუ მოუმზადებლობა რწმუნებულთა კრებისა საქმეების ცოდნაში, არამედ, რაც უფრო საეალოა, სრული მოუმზადებლობა ბანკის ხელმძღვანელებისაც. მაგრამ „სახალხო გაზეთი" უკანასკნელს გზას უქცევს და კრების ოპოზიციას ატეხს მეხსა. რასაკვირველია, ჩვენ ვერ გამოვალთ დამცველებად იმ ოპოზიციისა, რომელიც სიტყვების რახა-რუხით ფარავდა საქმის უცოდინარობას, მაგრამ „სახალხო გაზეთს", როგორც ეტყობა, აბრუნდი მოსცია: უმეტესობა ამ მორახარუხე ორატორებისა მათი „თანამგრძნობელნი" იყვენ; და თუ ისინიც არ დაინდვეს, ალბათ მეტად დაჯაბნილები არიან სახალხოელნი საქმის ცოდნის და იღვიის მსახურების გარეშე მდგომ პირობებით, რომ ასე ხელს აფარებენ ბანკის ხელმძღვანელთა სისუსტეს. ეს პირობები იგივეა, რაც შკოლაში, წ. კ. საზოგადოებაში და და ყველა სხვა დაწესებულებაში: ან სპატონო, ან თფილი ადგილები, ან სხვა ანგარება; იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც გამოაცხადეს სახალხოელებმა ალ. ჯ—შვილის პირით არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ: ყველგან და ყველა დაწესებულებაში უნდა დავიკაოთ ადგილები, რომ ცხოვრებაზე გავლენა ვიქონიოთო. და აკი ეხედავთ ამ გავლენის მჭევრმეტყველურ შედეგებს".

ᲒᲛᲝᲪᲐᲜ ი. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბატონო რედაქტორო!

შენდ ივნისს, შაბათისათვის, განზრახული საღამოზე, სხვათა შორის მოწაფეობა უნდა მიეღო მგოსან ვ. რუხაძის. გუშინ კი ვარლამმა უარი განაცხადა. და ეს უარი დაასაბუთა შემდეგი გარემოებით. „ჩემთანო, მითხრა ვარლამმა, —მოვიდნენ ქუთაისის ნოქრების წარმომადგენლნი და განმიცხადეს არ მივიღო მონაწილეობა შენს საღამოში, რადგან ბოიკოტს ვუცხადებთო. ჩემს შეკითხვაზე: რა არი ამის მიზეზი. მეთქი— ვარლამმა მომიგო: „მე ვიცი რომ, მათ პირადათ შენთან არავითარი საბოიკოტო არა აქვთ რა, ხოლო ამ ზომას მიმართეს პეტრე გელეიშვილის ლექციაზე ნაციონალისტებისაგან ოსხტრაკიზმის გამოო. ამნაირათ აღსრულდა ჩემზე ანდაზა: „ცხენს ვერა დააკლეს რა უნაგირის წაუშინებსო", მაგრამ ვენაცვალე სიღარიბეს, რომ ქართველებ-მაღაზიები უნოქრებოთ არ დამრჩება. და თუ შაბათ საღამოს ქუთაისის თეატრი ცარიელი იქნება, არც ესა მგონია დიდი უბედურება, რადგან ზოგს თავი აქვს სამუდამოთ ცარიელი და მაინც მხიარულია.

ა. ეკლოშვილი.

2 ივნისი, ქ. ქუთაისი.

ი. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

თქვენი არ ვიცი მკითხველებო, მაგრამ მე კი მგონია, რომ ზემო დასტამბული ბაჟია წერილი ი. ეკლოშვილისა ერთ დროს, მაშინ, როცა საქართველო მთლად გამოფხიზლდება, ისტორიულ წერილათ ჩაითვლება.

რათა?

იმიტომ, რომ ეს ბაჟია წერილი ამოწმებს იმ საბაჟო შეუნგებლობასა და ძლიმპრეობას, რომელიც გამეფებულია ჩვენ დროს!

„ნოქრების წარმომადგენლობა უბრძანებენ ქართველ მგოსანს ვ. რუხაძეს მონაწილეობა არ მიიღოს ავათმყოფი მგოსნის სადამოზე...

მერე რა დამსახურება მიუძღვის ქკეყნის წინაშე „ქუთაითურ ნოქრებს" საიმისო, რომ ასე შეურაცხყოფენ ორ თვალსაჩინო მგოსანს?

რა ნება აქვთ ამავე „ქუთაითურ ნოქრებს" ერთის მხრით **უბრძანან** ვ. რუხაძეძ, **დაამხანან** მისი პიროვნება, ხოლო მეორეს მხრით წამალი მოაკლონ ავათმყოფ მგოსანს ი. ეკლოშვილს, იმ მგოსანს, რომელმაც მთელი თავისი არსება შესწირა სწორეთ ნოქრებისა, მუშებისა და, საზოგადოთ, მშრომელი ხალხის გამოფხიზლებას?

სად არის აქ ადამიანობა, სამართლიანობა, უბრალო ზრდილობაც კი?

მაგრამ განა შეიძლება სამართლიანობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ასეთი ამბები ხდება?

იციან კი ვინ არის ი. ეკლოშვილი?

მე მგონია არ უნდა იცოდენ, ორიმე ესეთ უკმეხსა და უხამს ნაბიჯს არ გადადგამდენ.

ყველა კაცსა აქვს ნება არ დაესწროს ამა თუ იმ საღამოს, მაგრამ სხვას რომ **უბრძანოს**: შენც ნუ დაესწრებიო. ეს **შეგრაშქილობაზე უარესაა.**

ბოიკოტი სამართლისა, სინათლისა და კაცთმოყვარეობის წინააღმდეგ, ეს მართო **ხულგანობა გი არა**, მთელი ქვეყნის მასხარად აგდებაა. და ვაი იმ ქვეყანას, სადაც ასეთ ბოიკოტს არ დაჰბრობენ!..

ი. ეკლოშვილი ხომ მგოსანია დაჩაგრული ხალხისა, ი. ეკლოშვილი ხომ მქადაგებელია თავისუფლებისა, ი. ეკლოშვილი ხომ მოიკქლია ღვთაებრივ პოეზიისა, განა შეიძლება გაიცვალოს იგი უბრალო ჭინანმაზეზე?

გელეიშვილები გამოაჩინა უკეთურობასათვის გაჯოხვამ, გელეიშვილები „გაგვგმირა" თავის მამაპაპათა ღვაწლის ფეხით გათელვამ, ეკლოშვილი კი წარმოშობა ტანჯულმა ხალხმა—თავის წულულთა დასამგმელათ, თავის ცრემლების მოსაწმენდათ. ეკლოშვილი დაკლეკა, სამარის კარამდე მიიყვანა ტანჯულ ხალხზე ფიქრმა და ზრუნვამ, ჩაგრული ერის გამოფხიზლებისათვის მღერამ, მღერამ იმ დროს, როცა ცოლშვილი შიერი ეხოცებოდა, მღერამ იმ დროს, როცა ბორკილები ედო ამავე მღერისათვის, მღერამ იმ დროს, როცა შორეულ ვოლოგდის ბნელ და გაყინულ ტრიალ მინდერებზე უმწეოთ, უპატრონოთ ეგდო ჩვენი მგოსანი და ცხარე და მწარე ცრემლებით დასტიროდა მშრომელ ხალხის სვე-ბედს. და, აი, როცა იგი დაბრუნდა ამავე მშრომელ ხალხთან, როცა იგი მომაკვდავი სდგას ხალხის წინაშე, „ქუთაითური ნოქრები" ბოიკოტს უცხადებენ მის საღამოს!!..

ეს რასაკვირველია მათი უფლებაა, მაგრამ დღეის შემდეგ მათ არავითარი ნება არა აქვთ თავის თავს „ხალხის წარმომადგენლები" უწოდონ! როგორც ეტყობათ, ნოქრები ხელმაღი, ნოქრებათვე დარჩენილან მოქმედებითაც და ღმერთმა დარგეხსნას, რომ ასეთი უსამართლო იყოს ის მასსა, რომლის გულისათვისაც თავს იკლავენ ევლოშვილები!..

ი. ეკლოშვილმა პირველად დაიბერა 1893 წ. მაშასადამე, ოცდა ერთი წელი წყდება მას შემდეგ, რაც ხალხის გულიდან ამოიკენესა! ოცდა ერთი წელიწადია მას შემდეგ, რაც განუწყვეტელივ ებრძვის უსამართლობას სიტყვით თუ საქმით! ასი ათასი ნოქარიც რომ შეჰკონოთ, ერთ მის ლექს ვერ შეედრება. დიახ, ვერ შეედრება მეთქი ვამბობ თამამად, ვინაიდან შეიძლება „ნოქრებმა" მთელ ქუთაისს ჩააყვეტინონ ხმა, მაგრამ მათი ვაჟკაცობა დროებითი იქნება, წარმავალი. ევლოშვილის ლექსს კი:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკვება თქვენი გულიო!..

სამარადისოთ იმღერებს ჩვენი ტანჯული ხალხი, დიახ ხალხი (მართო ნოქრები არ არიან ხალხი) ვიდრე ოცნება ამ ტანჯულის ხალხისა არ განხორციელდება და ერთხმათ არ დაჰგმობს გელეიშვილებსა და მის ბრძა დამჭაშებს...

ი. ეკლოშვილი მართო პოეტი არ არის. იგი მოქმედიც არის. იმ დროს, როდესაც გელეიშვილები თაგვის სოროებს ეძებდენ, ევლოშვილმა გადაავლო აფიცრის ბრწყინვალე მუნდირი, რომელი მუნდირიც მას უქადდა პირად ბედნიერ ცხოვრებას,—ჩადგა მებრძოლთა რაზმში და მტრის ტყვიას გული მიუშვირა.

ხუთმეტ წელიწადზე მეტს მუშაობდა იმ დასში, რომლის „გმირებთაც" დღეს გელეიშვილები და „ნოქრები" გამხდარან და თავის ძლიერის მხრებით ეზიდებოდა ამ დასას ჭირ-ვარამს. მან ზედ მიწევნით იცის ამ დასის ავი და კარგი და თუ იგი დღეს ამ დასს აღარ ეკუთვნის, ამას თავისი სპატო მიზეზები აქვს, რასაც, თუ არ მოკვდა, მგონია მალე გამომჟღავნებს...

ახლა იგი აღარ არის „დასელი", იგი უფრო შორს წავიდა, ის ჭირისუფალია მთელი ქართველი ერისა და ქართველი ერიც დაფასებს მის ამაგს. ქართველი ერი და მათ შორის შეგნებული ნაწილი ქუთაითურ ქართველებისა არ შეურაცხჰყოფს თავის ღირსეულ შვილს და საქართველოს მგოსანს „ნოქრებივით" პურის წილ ქვას არ გაუწოდებს...

—

ახლა მინდა ორიოდე კითხვა მივცე ი. ეკლოშვილის თანამოკალმე მგოსან ვ. რუხაძეს:

ბატონო ვარლამ! როგორ მოგწონთ ქუთაითური ნოქრების საქციელი? ლამაზია? აქვს რამე საერთო „ევლოშვილის სა-

---

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ახლავე კაცხადებ, რომ როცა გელეიშვილებზე ვლაპარაკობ და ან სიტყვას „ნოქარს" ბრჭხილებში ვსვამ, მე არ ვგულისხმობ მთელ ს—დ პარტიას, მის მოძღვრებას, მე ვგულისხმობ ზოგიერთ პიროვნებებს, რომელთა მოქმედებას, ჩემის ღრმა რწმენით, თვით ამავე პარტიის, სძხვებს ჩირქს, ხოლო თუ ღდეს პარტია ამ პირებს ემხრება, ეს კიდევ ვის დაკნინებასა და ვის წვრილმანებას ნიშნავს.. ი. ე.

ლამოს" ჟინიანების თავხედობასთან?

თქვენ რომ გაგიჭირდეთ, არა გნებავთ, რომ ვინმე დაგეხმაროთ?

ნუთუ მარტო „ქუთაითურ ნოქრებს" ეკუთვნით? ან „ქუთაითური ნოქრები" არიან ის მშრომელი ხალხი, რომელსაც თქვენ ემსახურებით?

თქვენ ხომ მგოსანი ხართ, ქართველი მგოსანი და განა ეგრე უნდა თანამოძმის გაწბილება?..

ვისი მოწაფე ხართ თქვენ და ვინ გასწავლათ ჰანგი მღერისა?

მაგრამ ცბარა! მე ვიცი რომ თქვენ ემორჩილებით „დასურ დისციპლინას", მაგრამ რაც მაგგვარ „დისციპლინით" თქვენ პური გამოაცხოთ, მე ნუღარ მიწილებთ.

ია ეკალაძე.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მცირე გუნდს. აღარ არის ალექსანდრე სარაჯიშვილი!

დაუდებელია მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე მით, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ქართველ მუზეუმს. ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად. მაგრამ მას ქართულ ლიტერატურის წინაშეც მიუძღვის ამაგი.

მე გავიცანი ის 1903 წელს, როდესაც „ივერიის" რედაქცია ებარა, და გაცნობისათანავე დავუმეგობრდი. მიმზიდველი, კეთილი სახისმეტყველება ჰქონდა. მეტად ზნელი და ლმობიერი იყო. მახსოვს, ერთი წერილი დამიწუნა, მაგრამ ისე მომეალერსა, რომ გული არ დამწყვეტია.

მის სანდომიანსა და მხნე სახეს უკვე ჰაღარა ამკობდა, მაგრამ გულის გატეხა არ ეჩნეოდა. პირიქით, ჰაბუსებური აღფრთოვანება და იმედიანობა იხატებოდა, როგორც მის სახეზე, აგრეთვე თითოეულ მის სიტყვასა და მოქმედებაში. და ჩვენც, მის თანამშრომელთ, ფრთებს გვასხმდა მისი ახალგაზდური გატაცება.

„ივერიის" საქმე ქონებრივი მხრით ვერ მიდიოდა კარგად, მაგრამ ის მაინც გულს არ იტეხდა და ზარალს არ უფრთხოდა.

ბევრი სასიამოვნო წამი გამომიცდია მასთან საუბრობის დროს! ცხოვრების ყოველდღიური პირვარამი მავიწყდებოდა და სადღაც, იდეალების სამფოთში, ვფრენდი. თითქო ნატვრა ამსრულებოდა!

დიაღ! ალექსანდრე სარაჯიშვილი იყო შესანიშნავი არა მარტო, როგორც საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი, არამედ, როგორც გულწრფელი, გულკეთილი, კეთილშობილი ადამიანი, რომელიც თავის გარშემო მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს სთესდა, ის ეკუთნოდა იმგვარ ადამიანთა ჯგუფს, რომელნიც თავის მომჭირ ცხოვრების მძიმე ტვირთს უმსუბუქებენ, უორმილოდაც კაცობრიობა უბედური იქნებოდა.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, დაუცვარო მეგობარო.

გასილ წერეთელი.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

პეტერბურგის ბირჟაზე 2 ივნისს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად ფასობდა.

◆ გაზეთ „იმერეთის" რედაქცია ამით საყოველთაოდ აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ რომ გასული შვიდის დღიდან რედაქციის აგენტი აღარ ეთვლება.

◆ გუშინ საადგილ მამულო ბანკში შესდგა ამ ბანკის ზედამხედველი კომიტეტის მორიგი კრება. კრებაზე განსახილველი იყო მორიგი საკითხები.

◆ 2 ივნისს, ღამის 10 საათზე, კოსტანტინე ნიკოლაძე მიეიდა თავის დის სონია ნიკოლაძის სახლში ბაღის ჭეჭზე. ძმამ კარებზე დაუკაკუნა. როცა დამ კარები გაუღო ძმამ მხილება დაუწყო მისს ცუდ ყოფაქცევაზე. დას გული მოუვიდა და კარები უჩენა. ეს კონსტანტინემ იწუნა, თავის და წამოაქცია, ჯიბიდან პატარა დასაკეცი დანა ამოიღო და სხეულზე ორმოცი პრილობა მისცა. პოლიციამ ნიკოლაძე დააპატიმრა. დაპრილი საავათმყოფოში მოათავსეს. იგი გუშინ გადაიცალა.

◆ დღეს, 4 ივნისს მოსკოვის კომერციულ ინსტიტუთან აკაკის სახელობაზე არსებულ სალიტერატურო-საქველიმრო წრის გამგეობა „რადიომში" სპექტაკლს მართავს. იმედია, ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს და თავის წვლილის გაღებით ხელს შეუწყობს ამ ახლად დაარსებულ წრის ნაყოფიერ მუშაობას და მის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებლებმა, რომლებიც პირველათ სიამით არ იყვენ შეტანილი,—დამატებითი სიები შეადგინეს და დამშეულთა დამხმარე კომიტეტს წარუდგინეს, ისინი ამ კვირაში სრიდნდეს მიელინან.

◆ 1 ივნისიდან ქუთაისში გადააყენეს პოლიციელი დარაჯები მაჭმადიანები მათ მაგივრათ ახლები დაინიშნება.

◆ პარასკევს 6 ივნისს საოლქო სასამართლოში გაირჩევა: მოლლა აუშევის და ლეონტი მეძმარიაშვილის საქმეები. პირველი ისჯება 347 მუხლის 1 ნაწ. და მეორე კი 1630 და 1632 მუხლის ძალით.

◆ 2 ივნისს პუშკინის ქუჩაზე, თეთრ ხიდთან ვიღაც ბოროტგამძრახველები შეპარულან ლეკვარსამ კაპანაძის სავაჭროში. მათ საფულე ყუთი გაუტეხიათ და იქიდან 300 მანეთი ფული ამოუღიათ. აგრეთვე მათ წაუღიათ 400 მანეთამდის საქონელი.

◆ 1 ივნისს, რკინის გზის სადგურთან გალახულ სოფლის მასწავლებელს ერმია დოლიძეს ეჩვი აუღია სამოქალაქო სასწავლებლის რამდენიმეს მეექვსე კლასის მოწაფეებზე. დოლიძე ეს სასწავლებლის გამგეობისთვის უცნობებია. ხსენებულ მოწაფეების გამოცდები გუშინ უკვე დაასრულეს.

◆ ქუთ. ქალაქს თავს კორბინიდან სუეროკოვის ძეგლის აშენებელ კომიტეტისავან ცნობა მოუვიდა, რომ დახმარება აღმოუჩინოს მათ სუეროკოვის ძეგლის დასადგმელათ.

◆ გუშინ საოლქო სასამართლოს სესიის ერთი ნაწილი დ. ოჩეჩირეს გაუგზავნა, საქმეების გასარჩევათ. იქიდან არონვის გაემგზავრებიან.

◆ საოლქო სასამართ., საქალაქო განყოფილებაში ზაფხულზე, სიცხეების გამო, საქმეების გარჩევა კვირაში მხოლოდ ერთხელ მოხდება. მოხელეების მუშაობა დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდი იქნება.

◆ ჰიაღურის სახელოსნო სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მოწაფეები დღეს საქმსკურსიოთ გაემგზავრებიან ს. ლინეთში.

◆ არჩილის გორაზე ცაცხვების მახლობათ დიდი უსუფთაობაა. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

◆ 10 ივნისს თანახმათ 1030 სამოქ. კან. ძალ. მომრიგებელ მოსამართლესთან მოხთება საჯარო ვაჭრობა ალექსი ივანენს ძე მაჭავარიანის მოძრავი ქონებისა.

◆ ხვალ 5 ივნისს ქალაქის თეატრში ვ. გურკო წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს კულტურა და მისი აღმოსავლეთთან დამოკიდებულება".

◆ გ. ტაბიძის წიგნის ბეჭდვა უკვე დამთავრდა და ხელის მოწერლებს ამ დღეებში დაურიგდებათ.

◆ ჰიაღურის სახელოსნო სასწავლებელი წელს შემდეგ პირებს დაუმთავრებიათ: ნ. ჭუმბურიძეს, ნ. საყვარელიძეს, პ. ბუაჩიძეს, გ. ვაჩაძეს, ს. ხვედელიძეს, შ. ნოზაძეს გ. კიკნაძეს, ლ. აფხაზავას, ბ. ქაქუთიას, ვ. კურტანიძეს, ს. მაღლაკელიძეს და პ. ფეიაძეს.

◆ ქალაქის სანიტარებს 30-სა და 31 მაისს სულ 36 ოქმი შეუდგენიათ სხვადასხვა პირებისთვის სანიტარულ წესის დარღვევისათვის.

◆ 2 ივნისს, გუბერნიის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის რაიონს სადგურზე 7 ვაგონ სიმინდი მოუვიდა. აქედან კომიტეტმა 4 ვაგონი ამაღლების საზოგადოების გლეხებს დაურიგა და 4 ვაგონი კი გორის საზოგადოებისას.

◆ ამ ბოლო დროს ოკრიბის მხარეში შანტაჟისტებმა იჩინეს თავი. ცოტა შეძლებულს ვისაც დაინახავენ ყველას შუქარის წერილს უგზავნიან და ფულს თხოვენ. ასეთი წერილები მისულიათ, როგორც შეიტყვეთ, ს. ბობოთში იაკოფ უგრეხელიძეს, რომელსაც 600 მან თხოვენ. ს. ციხიაში ღვდ. გვეტაძეს ტყიბულში პოპორიშვილს და სხვებს ეჩვი არ არის, რომ ესენი ადგილობრივი ბიჭებუქები უნდა იყვენ. საჭიროა გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

„იმერეთის“ რედაქცია და კანტორა
გადავიდა
თფილისის ქუჩაზე, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ
შენახვევში ოცხელის სახლეგში.

თფილისი

ალ. სარაჯიშვილის გარდაცვლება.

ალ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო. „საისტორიო საზოგადოების“ სხდომა იმავე დღეს, საგანგებო სხდომაზე იქონია მსჯელობა, თუ რა სახით სცეს პატივი განსვენებულის ცხედარს და დაადგინა:

1. საზოგადოების სახელით დაიბეჭდოს ადგილობრივ ქართულ და რუსულ გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებანი;

2. საზოგადოების სხდომ, მთელი შეგენილობით, სამძიმარი მოახსენოს განსვენებულის ქვრივსა და შვილებს;

3. ეთხოვოს სხდომს წევრებს უსათოდ დაესწრონ ყველა პანაშვიდსა და გამოსვენებას, წირვასა და ანდერძის აგებას;

4. ეთხოვოს ადგილობრივ საღვდელოებას, „საზოგადოების“ წევრთ: ყოველ საღვდელო ანტონ ეპისკოპოზს, არქიმანდრიტებს, დეკანოზებსა და ღვდლებს, პატივი სცენ განსვენებულის ცხედარს პანაშვიდებზე და დაკრძალვის დღეს — წირვაზე;

5. ეცნობოს „საზოგადოების“ სახელით ადგილობრივ ქართულ კულტურულ დაწესებულებას ამ ფრიად სამწუხარო დანაკლისის შესახებ;

6. დეპეშით ეთხოვოს ქუთაისში გაზ. „იმერეთის“ რედაქციას, აცნობოს ქუთაურ კულტურულ დაწესებულებათ ამავე სავნის შესახებ;

7. „საზოგადოების“ სახელით განსვენებულის კუბო შემკული იქნას ცოცხალი ყვავილების გვირგვინით და ლენტზე შესაფერი წარწერით. დაკრძალვის შემდეგ ეს ლენტი „საზოგადოების“ მუზეუმში დაცულ იქნას;

8. უკანასკნელ პანაშვიდზე და განსვენების დღეს, „საზოგადოების“ საფასით, მოწვეულ იქნეს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების მგალობელთა გუნდი.

9. განსვენებულის ღვაწლის აღსანიშნავად სხდომ იქონიებს განსაკუთრებულ მსჯელობას თავის უახლოეს სხდომაზე და თავის განაჩენს ამ სავნის შესახებ საზოგადო კრებას მოახსენებს.

— გ. დ. ყიფიანის და ქალაქის გამგეობის შორის მოსწრარ კონფლიქტის გამო კვირას, 1 ივნისს, კერძო თათბირი ქონდათ ქალაქის სხდომის ხმოსნებს. თათბირი დაიწყო საღამოს 8 საათზე და დასრულდა ნაშუადღევის პირველ საათზე. სჯა-ბაასის შემდეგ, თათბირმა რამდენიმე პირს დაავალა, შეიმუშაოს რეზოლუციის ფორმულა, რომელიც წარედგინებოს საბჭოს 2 ივნისის კრებას. ფორმულის შესამუშავებლად შემდეგი ხმოსნები აირჩიეს: ი. მ. დოლუხანოვი, შ. ვ. ალექსიმესხიშვილი, ა. ი. მიტკევიჩი, ა. ს. ბაბოვი, ა. ბ. მდივანი, ლ. ფ. ტიგრანოვი, ი. ნ. ხუნწუცი და პ. ა. გოთუა.

— ჰიგიენურის საშუალოო სამკურნალო აფთიაქის დასრულს: ნიკ. გეგეჭკორმა, ალ. კეკელიამ, მიხ. ქიქოძემ, ნიკ. მახვილაძემ, ყარ. ფალავამ, ალექს. ხმალაძემ, ნიკ. ჩარკვიანმა ვახტ. ინანიშვილმა.

— მეურნეთა თათფარა. 4 ივნისს სამგარეჯომი გაიმართება სოფლის მეურნეთა თათფარი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამართველოს მოხელეთა მონაწილეობით.

— თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა სანგანგებო კრება დაიწყოს 1 ივნისს. კრებები რამდენსამე დღეს გასტანს.

სახალხო მასწავლებელთა იუბილე.

ამას წინათ გაზეთ „ერში“ და შემდეგ კი პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ შესამე ნუმერში დაიბეჭდა ჩვენი წერილი „ჩვენც დავფასოთ“, სადაც შეეხე სახალხო მასწავლებელთა უპატივცემლოო და დაუკითხავად მათ მიმდებობას, თან გამოვთქვი აზრი, რომ ისეთ ღირსეულ მასწავლებლებს, რომელნიც 30—35 წლის განმავლობაში პატიოსნათ ასრულებენ სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას და მიზნათ დაუსახავთ გულწრფელი სამსახური საზოგადოებისადმი, ჩვენც დავფასოთ შრომა, იუბილე გადავუხადოთ, გავამხნეოთ და წაეახალისოთ, „რაც იქნება საუკეთესო ჯილდო სახალხო მასწავლებელთათვის, ამაზე როგორც „სახალხო გაზეთმა“, ისე „განათლებამაც“ განაცხადა სურვილი და მოუწოდა საზოგადოებას, პატივისცემით მოეპყრას მასწავლებლებს და თვალსაჩინოთ დაიფასოს მათი მოღვაწეობა. „განათლებაში“ მოთავსებულ წერილში მე კიდევაც დავსახელე მაგალითისთვის ჯვრჯერობით შორაპნის მაზრის სოფ. ბოსლევის დაწყებითი შკოლის გამგე-მასწავლებელი მოხუცი იასონ კაპანაძე, რომლის შესახებაც გამოხმაურება მოვიღე. ბლა, როგორც მაცნობებს წერილით თვითონ პატივცემული იასონ კაპანაძე, მას ამა წლის პირველ ოქტომბერს უსრულდება 38 წელიწადი მასწავლებლობის სამსახურისა და მაზე მეტი ნამსახური ყოფილან გიგო შარაშიძე და ყარამან ჩხეიძე; პირველს უმსახურია 41 წელი და დღეს გადამდგარია სამსახურიდან, მეორე კი მსახურობს ამ ბოლო დროს კულაშის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში. აქვე მომყავს იასონ კაპანაძის წერილის შინაარსი სახალხო მასწავლებელთა საგულისხმოთ: „ძვირფასო ლადო! გმადლობთ მოგონებისათვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს ჩემი თავმოყვარეობისათვის იყოს საჭირო... არა. ეს საჭიროა იმ წმინდა და მაღალი საქმისათვის, რომლისათვის ჩვენ ხელი გვაკიდია. ამით ჩვენ ვაქეზებთ და ვამხნევებთ იმ ახალგაზდა მასწავლებლებს, რომლებიც ჩვენსავით გამბედან მასწავლებლის მძიმე უღელში; ამით ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზდა მასწავლებლებმა ერთგულათ განაგრძონ სამსახური და არ უღალატონ ერთხელეე აღებულ ჯვარს სოფლის მასწავლებლობისას. მხოლოდ საქმის სარგებლობა უნდა ვიქონიოთ სახეში და არა ვისიმე პირადი პატივისცემა, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთები“. ამ ცნობებს შემდეგ მიემართავ ქუთაისის გუბერნიის, ე. ი. დასავლეთ-საქართველოს სახალხო მასწავლებლებს მოგვაწოდოს ცნობები, როგორც ამ პირებისა, აგრეთვე სხვა დამსახურებული მასწავლებლების შესახებ, თუ რამეზედ მათგანს რამდენათ დარსია თქმიდეს განძრახვანის. როგორი მასწავლებელი გვყავს მხედველობაში, ეს ჩემ წერილში, რომელიც „განათლების“ (ამა წლის მესამე) ნუმერშია მოთავსებული, ნათლად არის ნათქვამი. გიგო შარაშიძის ბიოგრაფია იმავე წლის „განათლების“ მე ოთხე ნუმერშია დაბეჭდილი, ყარამან ჩხეიძე კი იმედია თვითონ მომაწოდებს დაჭ-ქარებით თავის ბიოგრაფიას. გარეშე მასწავლებლები კი შეკრებენ ცნობებს ამათი პატიოსნათ მოღვაწეობისას და გავცნობებენ ამ თვის დამლევამდე გაზეთების სამეალებით. სხვადასხვა აზრებისა და ნამდვილი ცნობების შეკრებას შემდეგ იუბილე აყობებს გადახდილ იქნას სექტემბერ-ოქტომბერში, ანუ უფრო ადრე, მარიამობისთვის უკანასკნელ კვირაში.

შესაძლებელი იქნება, რომ იუბილე ორ დასახურებულ მასწავლებელს ერთად გადუმართოთ ქუთაისში. ამ პირველით იუბილეს დავიწყებთ 40 წლის ნამსახური პირებიდან, შემდეგ 35 და 30 წლიანებიდანაც. იუბილე როგორ უნდა მოეწყოს, ამას შემდეგ შეიმუშავებს განგებ შემდგარი საიუბილეო კომიტეტი.

ესთხოვ ქუთაისისა და თფილისის გაზეთების რედაქციებს გაბედეთდონ ეს წერილი.

ღადო ბზგვილა.

კარლ ფემსორ ვოლჟინის წერილი.

„სახალხო ფურცელში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი პროფ. ვოლჟინის, რომელიც სავსებით მოგვყავს.

კიევის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ გადაწყვიტა მოახდინოს სტატისტიკური გამოკვლევა მევენახეობისა და მეღვინობის შესახებ, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. წრემ, პროფესორთა დახმარებით, შეიმუშავა საანკეტო ფურცელი და უკვე შეუდგა პრაკტიკულ ნაბიჯის გადასდგმელად გამოკვლევა, რომელსაც კისრულობენ სტუდენტები, მოგვცემს ძვირფას მასალას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების გასაშუქებლად. იგია მიმართული სოფლის მეურნეობის ერთერთ უმთავრეს დარგის შესასწავლად. რუსეთის არც ერთ მხარეს არ არის განვითარებული მევენახეობა ისე, როგორც საქართველოში. ბესარაბიის რუსეთში პირველი ადგილი უჭირავს ვენახების აბსოლუტური რაოდენობით. ადგილობრივ ერთის მართველობის გამოკვლევით ბესარაბიაში ვენახებს უჭირავს 160,000 დღიური. მთავრობის გამოანგარიშებით თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ვენახებს უკავიათ 110,000 დღიური. სამაგიეროთ ურთიერთობა ვენახების მიწის რაოდენობისა ყველა დამუშავებულ მიწის რაოდენობასთან შედარებით საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე ბესარაბიაში. საქართველოში ორი დღიური ვენახი მოდის 24 დღიურ კულტურულად დამუშავებულ ნაადგაზე; ბესარაბიაში კი 40 დღიურზე. ქუთაისისა და შორაპნის მაზრაში მევენახეობის მნიშვნელობა განსაკუთრებითია, რადგანაც ვენახების სიერცეს კარგა მანძილი უჭირავს, პირველში — 18,000 დღიური, მეორეში კი 24,000. შედეგი გამოკვლევისა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც სტუდენტებს მიზნად დასახული აქვთ, რაც შეიძლება ფართოდ და ყოველმხრივ გამოიკვლიონ მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა არა მარტო მევენახეობისა და მეღვინობის დარგში, არამედ მთელ სასოფლო მეურნეობაში. ასეთ საკითხის მიმდინარეობას და ამ წესით უკმაყოფილო არის ფინლიანდიის ერი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ არის ხელსაყრელი, რომ ეს კანონმდებლობა გამოიხატოს იმისთანა ზომის მიღებაში, რაც მატერიალურ ზარალს მიაყენებს ფინლიანდიის მცხოვრებთა ფართო წრეებსო.

ჰეტროვსკი აღნიშნავს ბაქოების მავნებლობას საერთოთ. ბაქოში ხელს უშლიან ქვეყნის წინსვლა-განვითარებას და პურზე ბაქოს დადება კი საზარალოა მუშებისა და ვლეხებისათვის და სასარგებლოა მხოლოდ მემამულეთათვისო.

რწდაწყვა ამბობს, რომ საჭირო არ არის წინააღმდეგობა გაუწიოთ უცხოეთიდან რუსეთში პურის შემოტანას. საქმისთვის საჭიროა არა ბაქოების დაწუხება, არამედ ვაჭრობის უკეთესი ორგანიზაცია. სათათვირომ უნდა იხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში ფინლიანდიის ხალხის თვალსაზრისით, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინლიანდიელნი დარწმუნდებიან, რომ საერთო საიმპერიო კანონმდებლობა ბოროტებაა. კანონპროექტი საბაბს აძლევს ფინლიანდიელ ავიტატორებს ჩაუნერგონ ფინლიანდიელებს რუსეთისადმი სიძულვილი.

გაგძელება იქნება.

სანიტარული გაფრთხილება არჩიელის გორის მცხოვრებლებისა.

31 მაისს რიონ-გალმა ნაწილის სანიტარმა შეგვატყობინა ჩამოიარა ფერმის და არჩიელის გორის ქუჩები და მკაცრი გაფრთხილება მისცა მცხოვრებლებს, რათა მათ ეზოებსა და ქუჩებში მეტი სისუფთავე დაიცვან. აქ იგი ზოგიერთ სახლის პატრონებს ქუჩაში დაყრილ ნარა-ხურის, მიწისა და ქვების გამო ოქმის შედგენითაც დაემუქრა თუ მეორეთ ამოვლისას იგი გაწმენდილი არ დახვედრებოდა. ასევე გაათხილა მან ქუჩებში ნარეცხი წყლის გადმოსხმებენი.

სახლის პატრონებმა მაშინვე მიყვეს ხელი — ეზოების და ქუჩების ნარეცხის წმენდას, მაგრამ მოგროვილი, ნებეი ისევ ქუჩის პირზეა მტკივნეული გადამტანი არცნია: ქალაქის გამგეობა აქაურ მტვერ-ტალახიან ქუჩების არც შეეეთები და არც დაგვა-გაწმენდისათვის თავს არ იტკივებს. ერთხელაც არავის უნახავს ამ ქუჩებზე არც მგველები და არც ნაგვის მზიდავი ტაკვები, მიუხედავათ იმისა, რომ აქაური ქუჩები ცუდ ამინდში საშინლათ ტალახიანდება და დარში მტვერი ახრჩობს მცხოვრებლებს ნამეტურ ფერმის ქუჩაზე. ხშირათ ეზოების და მაღაზიების ნაგვიც და ნარეცხი წყალიც ქუჩაში იყრება და ისმბება, რადგან ბევრს ამისთვის ეზოში ალაგი არ აქვს. ამის გამო ქუჩის ნარეცხებში მუდამ დამპალი, შხორის სუნი დგას. არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა ქუჩაში მიმავალს ბალკონებიდან თავზე ნარეცხ წყალს გადმოასხმენ და ამის გამო ასტყდება ერთი ჩხუბი და დავიდარაბა.

დიდ ნაილერების დროს არა თუ ეზოებში დაგროვილ ნაგავს ატანენ ქუჩაში მოხეთქილ წყალს, ფეხის ადგილებს უშნოდ დურგებასაც აკეთებენ ხოლმე ღვარს, რის გამო ქუჩა თავისი ამაყარაებულია. მეტადრე ცხოვრებაში ცხოვრება ჰირს, ჰაერი ბუმბერაზა. თან ნაილერები ამისთანა ნარეცხებში ვეღარ მიდის და აქა-იქ გროვდება სახლების წინ ყოველივე ზევიდან გამოტანეული სიბინძურე. ნაილერების დროს გაბრაელის ქუჩაზე ქვეითად სიარული შეუძლებელი ხდება, რადგან შუაგულ ქუჩაში უშველებელი ღვლე მოდის ხოლმე.

სატროტუარე ბილიკებზე ქვეფენილივე ბეერგანაა აყრილი, ჭვის კედლები ჩანგრეული და ქვეითთა მოსიარულეს რომ ფეხი დაუცდეს, ან გამოპანტებულმა ტროტუარის ქვერ შეიკავოს ხრამში ისე გადარჩებაა, რომ ცოცხალი ვეღარ გადარჩება. ასეთი კისერსატეხი ალაგია გოცირიძის და ორმოკაძის სახლებს შუა.

განათლების მხრითაც არჩიელის გორა ერთ სამარისებურ ბნელ განაკიდეს წარმოადგენს ქალაქისას. ბუნებით კეკლუცი და ისტორიულათ დიდებული კუთხე ქალაქია ადამიანთა უყურადღებობით სრულიად უკულტურო ალაგათ გადაქცეული დღეს იგი. თითო-ოროლა ძლივს ბეტუტავი შორა—შორს დადგმული ნათის ფარნებიც ნახევარკერ ანთებული არ არიან და თუ ანთებს ძალზე ფიტილ ჩაწეული შუდამ კვამლიან მინებში ბეტუტავს სინათლე, რომელიც ათიოდე საკენის სიშორესაც ძლივს აფრქვევს სინათლის სხივებს.

ყოველივე ზემო ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა გამო ფერმის ქუჩასა და არჩიელის გორაზე ხეირიანი, სპპატიო პირები ალარ დგებიან კი მინეშაც კი. ისინი თითო წელიწადაც ალარ ჩერდებიან აქაურ მინებზე, ალარც პირობას დავიდევენ ისე გაბიან და თავის წასვლას იმით ასაბუთებენ, რომ იქ არც ქუჩები ვარგა. გაბინძურებული და ტალახიანია, არც განათებაა, არც წყალი იშოვება და სხ. მისთ.

აქაური მცხოვრებლები კი ქალაქის და ყოველგვარ გადასახადებს იმდენსვე იხდიან, როგორც ქალაქის სხვა ნაწილების მკვიდრნი, სამაგიეროს კი მისგან ვერავითარ კულტურულ მოწყობილობას ვერ ხედვენ ამ კუთხეში.

ამიტომ ამიერიდან მაინც საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ უშნენირეს კუთხეს ქალაქისას. საჭიროა შეკეთდეს აქაური დაღორო-ჩოღროებული ტალახიანი ქუჩები, გაყეთდეს ჯაჭვის ხიდიდან მოყოლებული გაბრელის ქუჩაზე ტროტუარი ცალ პირზე კვეითა მოსიარულეთათვის, ამოშენდეს დანგრეული კედლები, შეკეთდეს ნარეცები და დაწესდეს ამ ქუჩებზეც დაგვა კვირაში თითოჯერ მაინც. ამ ქუჩების მორწყვაზე ხომ გაბრელაც ფათერაკს მოგვრის ქალაქის მამებს — და ამიტომ ისევ ვსდუმვარო.

სახლების უკლანოთ, ან პლანს გარაშე შენება ხომ აქ ჩვეულებათაა და არც ერთი სახლი ინჟინრის მეთვალყურეობით არ აშენებულა. აქაური სახლების უკლანოთ ნაშენობა პირადარი ქუჩებსაც ასახიჩრებს და ამას სრულებით ყურადღებას არ აქცევს გამგეობა, რომელიც თავის მოღვაწეობის საქმიანობას კაბინეტურ მიწერ-მოწერით განსაზღვრავს და არა პრაკტიკული საქმიანობით...

ასიდარე ყვირაძე.

რუსეთი.

დეპეშები
(ტელ. დეპ. საააგ.)
2 ივნისი

პეტერბურგი. საკომენდანტო ადგილ-რომზე გაიმართა საკონკურსო ფრენა. მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ავიატორი. ჰაეროპლან „ილია მურომეცზე“ მფრინველ სიკორსკი, აეროპლანში კიდევ 6 კაცი ისხდა. პორუნკ ვიეოლკის აპარატი გაუფუჭდა, თითონ უვნებლათ გადარჩა.

ჟურნალ გაზეთებიდან.

დეპეტების უსწყისისა გამო.

სახელმწიფო სათათბიროში ამ დღეებში დამტკიცებული კანონპროექტი დეპუტატთა სიტყვის თავისუფლების შესახებ მალე სახელმწიფო საბჭოში გადავა განსახილველათ. ზედა პალატა, რასაკვირველია, მის მიღებას არ დაიჭარებს. ოპოზიციის წარმომადგენლები და მემარცხენენი ამ შემთხვევაში კანონპროექტს უარმედით არ შეჰყურებენ. — დრონი იცვლება, — ამბობს ზოგი დეპუტატი — და საბჭოს წევრებიც ჩვენს მდგომარეობაში იქნებიან ოდესმე, და იმ დროისთვის გამოადგებათ მათ ეს კანონპროექტიო.

მეორენი ამბობენ: ამ კანონპროექტის უარყოფა საბჭოს წევრების მიერ თვითმკვლელობა იქნება. ეს კანონპროექტი ჩვენთან ერთად ხომ მათი სიტყვის

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
მაღაზიის სიახლე

მეგენახეთა საყურადღებოდ.
ძალუმულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის ვაზგარდის ფხვნილი, ქაკშენის საოხე. ტ. ტ.
ნამდვილი ინგლისური შაგრინის ქაღალდი.

ქალისა ზოგიერ ფასად
მახლობლების ყურადღებისა და სხვა მოწყობილობა

უწანების საქმეში მანქანები გერმორელისა და პლატაციისა, გოგირდის საბერველები.

დიპლომ დამჭეულის, ჯურჭლეულობის, აგეკეულობის და შვალიერის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე.

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი სამჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო-ბი, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი სა-ოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

თავისუფლებასა და საკანონმდებლო დაწესებულებათა ღირსებას იცავსო.

კანონპროექტის საბჭოს მიერ მიღებას არც მეგარჯვენენი უყურებენ იმედიანათ. მათი აზრით მას დაამტკიცებენ მხოლოდ არსებითი შესწორებების შეტანით.

(რ. ვ.).

დიდი სამხედრო პროგრამა.

დახურულ სხდომაზე ხარჯთაღრიცხვის კომისიამ დაასრულა კანონპროექტის განხილვა სახელმწიფო დაცვის გასაუმჯობესებლათ ფულის გაღების შესახებ. უკანასკნელათ მიიღეს მთავრობის კანონპროექტი, თუმცა ოპოზიცია მიღების წინააღმდეგ იყო. (რ. ვ.)

უცხოეთი.

დეპეშები.

2 ივნისი.

რაში. რავენაში, ფორლიში და რიმინიში ცხოვრება თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში. მიპანაში, გენუაში და ზოგიერთ ქალაქებში მოხდა არჩევნები პროვინციალურ საბჭოებში საერთო ხმის მიცემის საფუძველზე დამყარებული, რომლითაც აქ იხელმძღვანელეს პირველათ. არჩევნები სხვა ქალაქებში მოხდება კვირა დღეს 13 ივნისამდი.

კონჰაგენი. დანიის ჟურნალისტებმა სადილი გაუმართეს კონგრესის დელეგატებს. სადილის შემდეგ დელეგატებმა გარშემო მიდამოები დაათვალიერეს.

კონსტანტი. პავლე იანთან შეკრებილი იყვენ უმაღლესი თანამდებობის პირნი რუმინიისა და რუსეთის მისიის წარმომადგენელნი. 10 საათზე მობრძანდა მეფე-დედოფალი რუმინიისა. მალე მოვიდა ახბა „შტანდარტი", რომლითაც მობრძანდენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, მემკვიდრე და ასული მათნი. მათ მიეგებენ მეფე-დედოფალი. იმპერატორმა და კაროლმა ერთმანეთი გადაკოცნეს. კონსტანცის გერმა იმპერატორს პურ-მარილი მიართვა. 11 საათზე ტაძარში წაბრძანდენ, სადაც მათ მიეგება ეპისკოპოზი. ტაძრიდან დაბრუნდენ დედოფლის პავლიონში, ინახულეს ნავსადგური; მეორე საათის ნახევარზე საუზმე გაიმართა დედოფლის პავილიონში. საღამოს პარადი შესდგა, რომელშიც მონაწილეობდა 9000 ჯარისკაცი. საღამოს სასახლეში ბანკეტი გაიმართა. სიტყვა წარმოსთქვა რუმინიის მეფემ და აღნიშნა ის მეგობრული განწყობილება, რომელიც არსებობს რუსეთისა და რუმინიას შორის. საპასუხოთ სიტყვა წარმოსთქვა, ხელმწიფე იმპერატორმა. სიტყვები წარმოითქვა ფრანგულ ენაზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სამხედრო-მატყუარა ხმები.

ბერლინის გაზეთს „ფრანკფურტერს ციატუნგს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: დიპლომატიურ წრეებში ხმები დადის ბალკანეთის ახალი კავშირის შესახებ. ამ კავშირს საფუძვლათ დაედება ალბანეთის განათლება საპერძნეთისა და სერბიის შორის. ბულგარეთი კავალას, იშტიბს და კოჩანას მიიღებს. ოსმალეთს ხოის, მიტელენას და ლემნოსს დაუბრუნებენო.

(რ. ს.)

შეტაკება ბუჭარესტში.

ნაციონალ-ლიბერალებსა და კონსერვატორებს ქუჩაში შეტაკება მოუხდათ, რომელიც გამოიწვია დამფუძნებელ კრების არჩევნებში ლიბერალების დამარცხებამ. ლიბერალებმა ექვსი მძიმეთ დასჭრეს. ჯარმა ისინი გაფანტა. 100-დი კაცი დაატუსაღეს.

(რ. ს.)

დაბა-სოფელი.

სოფ. ჩახა. (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი დ. საჩხერიდან 3-4 ვერსის მანძილზე ძევს. მცხოვრებლები თითქმის მთლად გლეხობაა, 300 კომლამდე. უმთავრესი მათი ყურადღება არის მიქცეული მევენახეობაზე. აქ ისეთ გლეხს ძნელად შეხვდებით, რომ ღვინოს არა ჰყიდდეს და თავისთვისაც საკმარი არა ჩრჩებოდეს. წლიურად ამ სოფლიდან უნდა გაიტანონ სხვადასხვა ადგილებში არა ნაკლებ 1000000 ნაშუქი ვაზი სხვადასხვა ჯიშისა, უფრო მეტი კი საფერი. ყველას მოეხსენება წარსული წელიწადი რამდენად უმოსავლო იყო და რამდენი ოჯახი დაიშალა, ზამთარი ხომ სულმოუთნდნელათ გვეწვია და დიდი თოვლიც ჩამოყარა, რამაც დიდი ზიანი მოგვაყენა. აქ ზამთრობით ვაზების დაწვენა არ იციან, ისევ სარებზედა სტოვებენ აყრულს. რამოდენიმემ შემოდგომაზეც გასხლა ვენახები, რათა გაზაფხულზედ მუშაობით წინ წასულიყო, მაგრამ სამწუხაროთ შემოდგომაზე გასხლული ვაზი ყინვამ რამოდენიმე სრულიათ გაახმო და ასაჩები გახადა; რაც გადარჩა ის მოწვა ორ-სამ კვირტზე და ძირებში ამოიყარეს, რამაც ნაყოფი ცოტა გამოიღო. კიდე გაუძლებდით ამ ჭირს, რომ მისში არეული ამინდი არა გვქონოდა. მან ხშირი წვიმებით თითქმის მთლათ გაიშავა მტევნები. ამ ბობენ კარგი ამინდი თუ აწ მაინც დაუდგა გადიყრის ამ სიშავესო. ჯერ ვენახები უამინდობისა გამო თითქმის ნახევარსაც არ მოურწყავს. ხეხილებზე, ხომ სულ ალარა ითქმის რა. გამოტანით ბევრი გამოიტანა, შემდეგ დაშავდა და მთლათ ჩამოცვივდა. ვენახის წორჩ კვირტებს გაუჩნდა ერთნაირი რუხი-პატარა ლოკოკინას მსგავსი ჰია, ფოთოლი ალარ გამოაღებინა, რის გამოც მრავალი ვაზი გაშრა; რაც შეეხება ჩინახულს, ჯერ არა ვიცით რა ითქმის რა; პურს კი კარგი პირი ეჭმნევა. არ ვიცით რა უშველის ჩვენ კუთხეს ნახევრათა სიმშილს განიცდის, მცირეოდენი სიმინდი 2—3 ფუთი სულზე დაურიგა მთავრობამ, მაგრამ ეს შეინახავს მთელი წელიწადი? მთოხნავი მუშის ქირამ ძალიან აიწია. წინათ, რომ 10 შაურს ვაძლევდით ეხლა 4 აბ. 1 მანეთამდი ავიდა.

კულტურულ დაწესებულებაზე, ხომ აქ არა ფიქრობენ, თუ რაიმე ამის მსგავსი ვაიხსნა დ. საჩხერეში ისინი აქ ეჩხირებიან: არც სკოლა და არც უბრალო სამკითხველო აქ არ არსებობს, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი განათლებული პირი ცხოვრობს ამ სოფელში, თუ სკოლაზე წამოგცდა რამე, ან სამკითხველოზე, მაშინვე ჩაქოლვას მოგნდომებენ ან ათასნაირ ჯორებს შეთხზავენ და პრაპა განდას დაიწყებენ ერთმანეთში, არიქა არავინ შეგაცდინოსთ თავის სასარგებლოთ უნდა რომ გახსნასო. რა თქმა უნდა, რომ ასეთ ხალხში კულტურულ დაწესებულებას ადგილი არ ეძნება. უბრალო მარანიც კი ვერ გახსნეს, რომ თვისი ღვინოები დაეწყოთ, როგორც სვირელებმა და კვალითლებმა ჩაიდინეს ისე. რაც შეეხება ადგილობრივ მღვდელს ის თავს არ იზოგავს ასეთი კეთილი საქმისათვის, რისთვისაც მადლობის ღირსია მ. აბიათარ იაკობაშვილი.

მოდა-მნახე.

სია

ამ ბარათა, რომელთაც შესწორეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის სახოგადოების 4 მაისის სეანსობის გასახრთავათ.

გაგრძელება იხ. „იმერ." №. 65 №.

ელენე, ნიკოლოზის ქ. ლორთქიფანიძისა
ყაჭის თავსაფარი და გალსტუკი მოქარგული.

პეტრაგია იაკობის ასულმა რუხაძისამ ბოლგარული საფელი, 6 სალფეთქი და კონვერტზე დახატული ზოლი.

ნინო გიორგაძის ასულმა ინასარიძისამ 6 სალფეთქი და ხილის და მურაბის ვაზა. ლუბა უზნაძისაგან ორი მოქარგული ჩაის სალფეთქი. თამარა გელიაზაროვისაგან წყლის გრაფინი თავის ჭიქით. ელენე ადამის ასულის ქორქაშვილისაგან სურათი, მარათა, ლუდის სასმელი ჭიქა, საქინძისთავე.

ვერა ივანეს ასულის კოსტავასაგან მოქარგული ზოლი, 12 გალსტუკი ხელოვნურად გაკეთებული ფერადი ქაღალდის ყვავილები.

ანასტასია დიმიტრის ასული ბაკრაძისაგან დიდი სურათი, იულია დავითის ასული მიქელაძისაგან ნოტების დასადები. ქეთო გოროგის ასული წერეთლისაგან 2 ყვავილის ვაზა. დოროთეე ისაკის ასული სატესამ ფულათ 3 მან. ნინო ბეგლარ კორძაიასაგან ორი ყვავილის ვაზა. ეკატერა ბესარიონის ასული კორძაიასაგან პირსახოცის დასაკიდებელი. შტაბს-კაპიტან გოგოლაშვილისაგან ფულათ 3 მან. ვ. მარკეევისაგან ერთი სასუნე.

(გაგრძელება იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

კავკასიის სამხედრო-ელექტრო-ტექნიკის მზრუნველის ნებართვით

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: თფილისი, ზუბალოს ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

განცხადება

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1914 წლის 5 ივნის დღის 12 საათზე გამგეობის შენობაში

დანიშნულია ვაჭრობა

ქალაქის ეგრეთწოდებულ ყაფნის მოედანზე მდებარე ქალაქის „ბუდკების" იჯარით გასაცემათ,

პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდი გარდა უქმე დღებისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ კვირეულ საზოგადო ეკონომიურ და სალტერატურო ჟურნალ

„კლდე"-ზედ.

ფასი: 1 წლით . . . . . 3 მან.
6 თვით . . . . . 2 მან.
3 თვით . . . . . 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საყაშვილების სავაჭროში

ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

ველოსიპედებზე



ყველაზედ იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ძმ. ქორქოლაშვილების მაღაზიიდან

ყიდვის დროს დაათვალიერეთ ნამდვილ ვერმორელ მარკას. სიყალბეს ერიდეთ.

მიღებულია ჩვენს საბაკალეო მაღაზიაში დიდძალი ყოველგვარი ბაკალეინი საქონელი სხვადასხვა ცნობილი ქარხნებიდან. საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდი, ცენახის ასაკვეთი წყალი, ნამდვილი ვერმორელის ვენახის სარწყავი მანქანები, რომელიც შიგნით წამალს ურევს, გოგირდის საფქვეი მანქანები და ყველა ნაწილი სარწყავი მანქანების, აქვე გვაქვს საუკეთესო მადნათის ჯიშის

აბრეშუმის თესლი.

ფასები ეგზემპლიარზე ზომაერია. მიხეილის ქუჩა, ყაფნის მახლობლათ.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	ფოშტის დილის	11 საათ. 55 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	10 საათ. 10 წ.
	სახალხო ღამით	1 საათ. 7 წ.
ბათომს:	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
	სახალხო დილის	4 საათ. 27 წ.
ფოთს:	სახალხო საღამოს	4 საათ. 14 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილით	4 საათ. 27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
შორაპანს:	საავარაკო საღამოს	5 საათ. 00 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	6 საათ. 20 წ.
	სახალხო საღამოს	4 საათ. 20 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	ფოშტის საღამ.	6 საათ. 57 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალხო საღამოს	9 საათ. 44 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ. 50 წ.
ბათომიდან:	ფოშტის ღრით	1 საათ. 25 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალხო დღით	11 საათ. 22 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 23 წ.
ფოთიდან:	სახალხო დილით	10 საათ. 3 წ.
	ფოშტის დღით	1 საათ. 25 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 23 წ.
	სახალხო ღამით	3 საათ. 50 წ.
შორაპნიდან:	საავარაკო დილ.	9 საათ. 18 წ.
ტყიბულიდან:	სახალხო საღამოს	7 საათ. 39 წ.
	სახალხო დილით	9 საათ. 38 წ.

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელების.